პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2025 წლის -- მაისი

ქ. წყალტუბო

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრისათვის " წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების 1 (ერთი) ერთეული ელექტრო დამწყობი/დამშტაბელებელი დანადგარის (შტაბელერის - Electrical Stacker) უსასყიდლო საკუთრებაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 15 მაისის №48-482513549 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე ირიცხება ევროკავშირის (INTERREG VI-B) შავი ზღვის აუზის ქვეყნების NEXT პროგრამის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის „სმარტი და ინოვაციური გადაწყვეტილებები შავი ზღვის ქვეყნებში მწვანე და სუფთა სასოფლო თემებისათვის - Smart4Rural" (პროექტის კოდი: BSB00464) ფარგლებში შესყიდული ახალი, ექსპლუატაციაში არ მყოფი 1 (ერთი) ერთეული ელექტრო დამწყობი/დამშტაბელებელი დანადგარი (შტაბელერის - Electrical Stacker) და ითხოვს თანხმობას აღნიშნული დანადგარის ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრისათვის " უსასყიდლო საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 106[1]-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრისათვის " წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების 1 (ერთი) ერთეული ელექტრო დამწყობი/დამშტაბელებელი დანადგარის (შტაბელერის - Electrical Stacker) უსასყიდლო
   საკუთრებაში გადაცემის შესახებ.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მესამე რანგის მესამე კატეგორიის

უფროსი სპეციალისტი: მაია უგლავა

შეთანხმებულია

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი მ. ბერაძე

აპარატის უფროსი გ. თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე: რ.დიდავა

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482513549**
თარიღი: **15/05/2025**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე ირიცხება ევროკავშირის (INTERREG VI-B) შავი ზღვის აუზის ქვეყნების NEXT პროგრამის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის „სმარტი და ინოვაციური გადაწყვეტილებები შავი ზღვის ქვეყნებში მწვანე და სუფთა სასოფლო თემებისათვის - Smart4Rural“ (პროექტის კოდი: BSB00464) ფარგლებში შესყიდული ახალი, ექსპლუატაციაში არ მყოფი 1 (ერთი) ერთეული ელექტრო დამწყობი/დამშტაბელებელი დანადგარის (შტაბელერის - Electrical Stacker) .

გთხოვთ, მოგვცეთ თანხმობა ზემოაღნიშნული დანადგარი უსასყიდლო საკუთრებაში გადაეცეს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრს“

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

წერილის ნომერი:**48-482512775**
თარიღი: **07/05/2025**

ადრესატი:

გენადი ბალანჩივაძე
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ გენადი ბალანჩივაძეს

ბატონო გენადი,

შპს "უნივერსალი"-სა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას შორის, 2025 წლის 05 მარტს, გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N50 ხელშეკრულება (NAT250000950), რომელიც ითვალისწინებს ევროკავშირის (INTERREG VI-B) შავი ზღვის აუზის ქვეყნების NEXT პროგრამის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის „სმარტი და ინოვაციური გადაწყვეტილებები შავი ზღვის ქვეყნებში მწვანე და სუფთა სასოფლო თემებისათვის - Smart4Rural“ (პროექტის კოდი: BSB00464) ფარგლებში, ახალი, ექსპლუატაციაში არ მყოფი 1 (ერთი) ერთეული ელექტრო დამწყობი/დამშტაბელებელი დანადგარის (შტაბელერის - Electrical Stacker) შესყიდვას.

შპს "უნივერსალი"-ს მიერ აღნიშნული საქონელი უკვე მოწოდებულია და გაფორმებულია მიღება-ჩაბარების აქტი.

მოწოდებული საქონლის ტექნიკური მახასიათებლები: წარმოშობის ქვეყანაა - ჩინეთი, მწარმოებელი კომპანია - Gather Power Industry Co., Ltd,, მოდელი - EJC210E(C), შასის ნომერი - BT8930PF0060, სერიული ნომერი - BT8930PF0060 / 20241212-6966, გამოშვების წელი - 2025.

ყოველივე ზემოთ ხსენებულის გათვალისწინებით, გთხოვთ, დაავალოთ ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურს, რომ 1 (ერთი) ერთეული ელექტრო დამწყობი/დამშტაბელებელი დანადგარი (შტაბელერი - Electrical Stacker) საკუთრებაში გადასცენ ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრს“.

დანართი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2025 წლის 05 მარტის N50 ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი, ასევე საქონლის ტექნიკური აღწერილობის დოკუმენტი.

დანართი 3 (სამი) დოკუმენტი (ელექტრონულად).

პატივისცემით,

მაია ფანჩულიძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-საგრანტო პროექტი - სმარტი და ინოვაციური გადაწყვეტილებები შავი ზღვის ქვეყნებში მწვანე და სუფთა სასოფლო თემებისათვის - Smart4Rural-კოორდინატორი